

საქართველოს კანონი

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი I №26 მუხ. 244) საქართველოს კანონში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. კანონის 13-ე მუხლი პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედქციით:

„1. ზონოზური დაავადებისაგან მოსახლეობის დაცვის მიზნით სამინისტრო და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ერთობლივად ადგენენ დაავადების გამოვლენის შემთხვევის შესახებ ურთიერთინფორმირების წესს.“.

2. კანონის 14-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედქციით:

„მუხლი 14. სურსათით გამოწვეული დაავადებების კონტროლი

1. სურსათით გამოწვეული დაავადებების კონტროლის მიზნით სამინისტრო და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ერთობლივად ადგენენ დაავადების გამოვლენის შემთხვევის შესახებ ურთიერთინფორმირებისა და ეპიდემიური აფეთქების სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარების კოორდინაციის წესებს.

2. სურსათით გამოწვეული დაავადებების პრევენციის კომპლექსურ ღონისძიებათა დაგეგმვისა და გატარების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო დადგენილი წესის შესაბამისად, რეგულარულად აწვდის სამინისტროს სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სახელმწიფო ზედამხედველობის შედეგებსა და მონაცემებს.

მუხლი 2.

1. ამ კანონის ამოქმედებიდან სამი თვის ვადაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა, კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებამდე საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი